

დანართი №4  
2015 წლის 01 დეკემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის  
შესახებ ს.რ საპრ N2-15 (CMR 150212232) ხელშეკრულებაზე

თბილისი

15.07.2016 წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის მაია ქალიაშვილის სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და შპს "პროექტირება, მშენებლობა, ექსპერტიზა", წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსი ბურდულაძის სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს 2016 წლის 15 ივლისის №5375-2 მოხსენებითი ბარათისა და ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.5 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (I-60) თერჯოლის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორიაზე, საავტომობილო გზის ორივე მიმართულებით (3 კილომეტრის მანძილზე), მომსახურების კომპლექსების კომპლექს(ებ)ის საავტომობილო გზასთან მიბმის მიზნით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მონაკვეთებზე შემანელებელ-ამაჩქარებელი ზოლის მოწყობისთვის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გაწევის შესახებ მხარეთა შორის 2015 წლის 01 დეკემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.რ საპრ N2-15 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2016 წლის 15 აგვისტოს ჩათვლით.
2. ზემოხსენებული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.რ საპრ N2-15 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები.
3. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.
4. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.
5. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ვერსიად.

შემსყიდველი  
დეპარტამენტის  
თავმჯდომარის მოადგილე  
მაია ქალიაშვილი

მიმწოდებელი  
შპს "პროექტირება, მშენებლობა ექსპერტიზა"  
დირექტორი  
ალექსი ბურდულაძე

